


2020

სამოქალაქო აქტივიზმისა და ადვოკატირების ტრენინგი



სექტემბერი-
ოქტომბერი, 2020



2020წ. სექტემბრის ბოლო - ოქტომბრის დასაწყისი (TBC)

სტამბოლი, თურქეთი

„სამოქალაქო აქტივიზმისა და ადვოკატირების ტრენინგი“

პროგრამის აღწერილობა


სტამბოლი, თურქეთი

„სამოქალაქო აქტივიზმისა და ადვოკატირების ტრენინგი“ წარმოადგენს 3-დღიან საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის მიზანია ქართველ, აფხაზ და ოს მონაწილეებში ხელი შეუწყოს სამოქალაქო აქტივიზმსა და ადვოკატირებასთან დაკავშირებული კომპეტენციების (ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების) განმტკიცება-განვითარებას.

ტრენინგის გავლის შედეგად მონაწილენი:

- გააანალიზებენ გუნდის რაობას, მისი განვითარების სტადიებსა და შესაბამის სირთულეებს;
- სიღრმისეულად გაიაზრებენ დემოკრატიის არსს და სახელმწიფოში სამოქალაქო საზოგადოების როლს;
- გაიაზრებენ სამოქალაქო პასუხისმგებლობასა და ინიციატივასთან დაკავშირებულ საკითხებს და აქტიური მოქალაქის მიერ გასავლელ გზას;
- განიხილავენ სამოქალაქო აქტივისტისთვის საჭირო კომპეტენციებს და აქედან გამომდინარე მოახდენენ საკუთარ თვითშეფასებას.
- გაიაზრებენ სახელმწიფოს მისიას და მის ხელშეწყობ თუ ხელშემშლელ გარემოებებს;
- ჩაუღრმავდებიან ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიისკენ გარდამავალ პერიოდში არსებულ სირთულეებს;
- მიიღებენ ინფორმაციას სამოქალაქო ჩართულობის სფეროებისა და საფეხურების შესახებ და გაიაზრებენ ამ პროცესში არსებულ სირთულეებსა თუ გამოწვევებს;
- გააანალიზებენ ადვოკატირების რაობას, მიზნებსა და ამოცანებს;
- გაეცნობიან ადვოკატირების ფორმებს და ადვოკატირების პორტფოლიოს წარმატებულ ნიმუშებს.





მონაწილეები:

აფხაზი, ოსი და ქართველი ახალგაზრდები

სამუშაო ენა: ინგლისური და რუსული

დაინტერესებულმა აპლიკანტებმა CV და სამოტივაციო წერილი გამოაგზავნეთ ინგლისურ ან რუსულ ენაზე ელექტრონულ მისამართზე: ninotlashadze@gmail.com 2020 წლის 4 სექტემბრის 18 საათამდე.

პროექტი ხორციელდება გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროგრამის ifa (Institut für Auslandsbeziehungen), Funding programme zivik –ის მხარდაჭერით.

